# სახალხო გაზეთი

№ 991 ხუთშაბათი, 12 სექტემბერი 1913 წ. № 991

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ.; სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 3 მან.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 1.

კვირას, 15 სექტემბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ ქ-ნ ნ. ჩხეიძის ასულის, ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

**ღალატი** დრამ. 5 მოქმ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ნ. ჩხეიძე, დავითაშვილი, მდივანი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იზნელი, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მამფორია, გოწელაური, სარაული, ხონელი, ცაციშვილი, შალიკაშვილი. **დასაწყ. ხალამ. 8 ს.**

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმინ. ქართ. დრამ. საზოგ.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება წარმოსადგენად „ციცინათელა", „მეფე ედიპე", „კულტურული მკვლელობა", „ინსტინქტი" და სხ. 2473



პირველ-ხარისხოვანი

**დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა**

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 12 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

ხაინტერესო **ექსტრო-ორდინარი წარმოდგენა** სამი განყოფილებისაგან შემდგარი

ეცადეთ ნახოთ ახალ-ახალი ამბები. დიდი ატრაქციები, ტფილისში რომ არავის გაუმართავს. გამოჩენილი 4 ეშმაკი მეხუთე ახალი ამხანაგით შეასრულებენ თავბრუ დამსხმევ ნომრებს. გამოვა აკრობატი ლანეგოსი. გამოვა ყოველგვარ პირუტყვთა გამწვრთნელი ბ. **რობერტსი** თავისი ფენომენალური ვირით და მათემატიკოს ძაღლით. გამოვა ჰაერის ასული, ქალბატონი **ელეონორა**. დებიუტი ბ. **ვოლდისა**, რომელიც „ჯოჯოხეთის კიბეზე" ითამაშებს. პოპულიარული მუსიკის ექსცენტრიკები **ტრიო ბროკარსი**. გამოვა მუცლით მკითხავი ტარვიტი. დღეს მონაწილეობენ ტფილისის საყვარელი მასხარები, სიცილ-ხარხარის ამტეხნი ძმ. ვიჩენცოები და სხვა პირველ-ხარისხოვანი არტისტები.

617 **დასაწ. ხალამ. 8 ნახევ. ს.** დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

საზაფხულო **ახალი კლუბი** შენობა

ხუთშაბათს, 12 სექტემბერს,

**გამოსათხოვარი კონცერტი**

სიმფონიური ორკესტრის ვ. ი. ზელიონის გამგებლობით. კონცერტის შემდეგ გაიმართება **სინემატოგრაფი**. დასაწ. საღ. 9 საათ.

კლუბში შესასვლ. ფასი კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდენტ. 25 კ. 1341

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქვენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენზელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606"-და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, ზომიერი საფასურით. წ. 1035

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 546

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

კბილის **ექიმი** ა. გ. ხოლოდაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ნაფიც ვექილის თანაშემწე

**გიორგი თევდორეს ძე ქურდანია**

**დაბრუნდა** ტფილისში და კვლავ იღებს საქმეებს **ახალ ბინაზე:** გუნიბის და ყაზბეგის ქუჩის კუთხე, სახ. № 43/41, დილის 8-ნახ.—9-ნახევარ საათ., საღ. 6—8-ნახ. ს. კვირა-უქმეებით დღისით, 10—2 ს. 2475

ექიმი

**ი. ზ. გძელიშვილი**

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

**სამკურნალო**

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბელედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ხუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ხანდანოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ, ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

**საბურთალოზე**

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი,**

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი

1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გამყრელიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით** 1462

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხეილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

კბილის **ექიმი** ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

## ტფილისი, 12 სექტემბერი

**საზოგადოებრივ სამავნებელი სკეპტიციზმი.** საზოგადოებრივ საქმიანობის გასაფართოვებლად ბევრი რამ არის საჭირო. ხელისშემწყობ ობიექტიურ პირობებს გარდა, საჭიროა თვით საზოგადოებრივ ძალთა სიმაგრე და სიმტკიცე. თუ ეს უკანასკნელი თვისება არ გვაკლია, ბევრნაირი დამაბრკოლებელი ძალა იქნება ძლეული. ბევრი ერი გაკაჟებულა თავის ინდივიდუალობის დაცვაში, ბევრი ერის ნების-ყოფა გაძლიერებულა. ამისთანა შემთხვევაში ერს საფრთხე აღარ მოელის: მისი წყურვილი სიცოცხლისა, მისი უნარი თავის დაცვისა ობიექტიურ პირობებზე ძლიერია. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს ის დაბრკოლებანი, რომლებიც ერის საალმშენებლო მუშაობას ეღობება წინ, სრულიად არავითარ კვალს არა სტოვებენ. ეს წინააღმდეგობა მუშაობის შედეგს ანახევრებს. ენერგია, რომელიც დადებითს საალმშენებლო მუშაობას უნდა მოჰხმარებოდა, ჰხმარდება დაბრკოლებათა ძლევას. სწორედ ამიტომაც ვითარდება ჩვენისთანა პირობებში მყოფი ერი ნელა, სწორედ ამიტომ აქვს მის განვითარებას არანორმალური ხასიათი.

ასეთი მდგომარეობა ბევრნაირად აფერხებს ჩვენს განვითარებას: ჯერ ერთი, როგორცა ვსთქვით, მუშაობის შედეგებს ანახევრებს. მეორეც, ხალხში ანვითარებს ერთგვარ გრძნობას დაუკმაყოფილებლობისას, რომელიც სკეპტიზმის საფუძვლად გადაიქცევა ხოლმე. საქმიანობა და მისი შედეგი ბევრს ველარ აკმაყოფილებს, მეტსა თხოულობენ. სინამდვილეში კი იმის მეასედიც არა კეთდება, რასაც გათვითცნობიერებული გონება მოითხოვს. იბადება ერთგვარი სკეპტიციზმი, უიმედობა. ეკარგებათ რწმენა თავიანთ-თავისა სკეპტიციზმიდან პესიმიზმამდე ერთი ნაბიჯია. როგორც ერთი, ისე მეორე ნების ყოფას აჩლუნგებს და ფეხს აკვეცავს აღფრთოვანებას, რომელიც საჭიროა სულ უბრალო და მარტივ პრაქტიკულ საქმიანობის დროსაც კი. ჩვენ დაავადებულ ოპტიმიზმს არ ვქადაგებთ. არ ვარგა გადამეტებული იმედიანობა, არ ვარგა გაზვიადება თავის ძალ-ღონისა, მაგრამ არც ის ვარგა, უიმედო სკეპტიციზმმა მოიცვას ჩვენი თავი, დავკარგოთ რწმენა ჩვენი ძალ-ღონისა და უილაჯოდ ჩამოვყაროთ ხელები სინამდვილის წინაშე. არც ერთი ვარგა და არც მეორე.

უკიდურესი ოპტიმიზმი საშუალებას არ მოგვცემს, თავის დროზე დავინახოთ ჩვენი საზოგადოებრივი კრილობანი და დროზევე მივიღოთ ზომები მათს განსაკურნებლად, უკიდურესი პესიმიზმი და სკეპტიციზმი კი განავითარებს უმოქმედობას და სრულიად ჩაგვიკლავს ისედაც მოდუნებულ ნების-ყოფას.

სკეპტიკურად განწყობილი ერი, ერი, რომელსაც თავისი თავის, თავისი ძალ-ღონის იმედი აღარა აქვს, დაღუპულია. ერში ყოველთვის უნდა სჩქებდეს ჯან-საღი იმედიანობა, ერთად-ერთი მამოძრავებელი ნებისყოფისა, ერთად-ერთი თავმდები პროდუქციურ საქმიანობისა. ამიტომ სცდებიან ისინი, ვინც ყოველთვის, როდესაც კი ჩვენში დიდს რაიმე საეროვნო საქმეზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, სკეპტიკურად ხელს იქნევენ და იძახიან, სულ ერთია არაფერი გამოვა, ქართველებს რა შეგვიძლიანო.

შევადაროთ ეხლანდელი ჩვენი ცხოვრება იმას, რაც, თუნდა, ამ ათი წლის წინათ იყო, და თქვენ დარწმუნდებით, რომ სკეპტიციზმსა და მით უფრო პესიმიზმს ჩვენში საფუძველი არ უნდა ჰქონდეს.

## ქართული პრესა

„სასოფლო გაზეთი" სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ჩვენი სოფლის ხალხი თანდათან უფრო აფასებს სამეურნეო ცოდნის:

„ცხოვრებამ თანდათან დაარწმუნა ხალხი იმ უბრალო ჭეშმარიტებაში, რომ სასოფლო მეურნეობა ძლიერ რთული საგანია, რომელიც მოითხოვს ბევრს ცოდნასა და დაკვირვებას. წინად მიწაადგილიც შედარებით ბევრი იყო, მოსავალსაც კარგს იძლეოდა და დიდი მოთხოვნილებებიც არ ჰქონია სოფლის მეურნეს. ამიტომ მაშინ იგი მამა-პაპათაგან შემუშავებულ სიბრძნითაც იოლად მიდიოდა. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. ცხოვრება გართულდა, მოთხოვნილებანი როგორც პირადი, ისე სამეურნეო გაიზარდა, ხალხი გამრავლდა, გაჩნდა ათასგვარი ავადმყოფობა, რომელსაც წინანდელი მეურნეობა უჩვეველი იყო, და მეურნეც ხედავს, რომ მისი შრომა ამაოა, თუ უფრო შესაფერი თანამედროვე იარაღით არ აღიჭურვა და ხერხი არ იხმარა. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია სამეურნეო შრომის შესახებ ხალხში გავრცელებული შეხედულების შეცვლა. ეს ასეც მოხდა. ახლა იგი სასირცხვილოდ აღარ მიაჩნიათ და სამეურნეო სასწავლებლებსაც გაცილებით მეტი ხალისით ეკიდებიან. ხშირად თვითონ სოფლები ადგენენ ყრილობებზე განჩინებას და თხოულობენ ნებართვას სამეურნეო სკოლის გახსნაზე. ასეთი შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნიაში მიმდინარე წლის განმავლობაში უკვე რამდენიმე ადგილიდან აღიძრა და რამდენიმე ახალი შუამდგომლობის აღძრვას კიდევ ეპირებიან. მაგრამ თუ რამდენად დიდია მოთხოვნილება აგრონომიული განათლების მიღებისა—ამას ყველაზე უფრო მჭევრმეტყველურად ქუთაისის სამეურნეო სკოლაში ამ დღეებში დასახელებული მისაღები ეგზამენები ამტკიცებენ. 21 თავისუფალ ადგილზე ასამდი მთხოვნელი გამოცხადდა. ასეთი სიმრავლე სკოლაში შესვლის მსურველთა არც ერთ სხვა წელს არ ახსოვს. ეს რაღაც არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა სკოლის ცხოვრებაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველაზე მეტი მთხოვნელი სწორედ უფრო კულტურულ და დაწინაურებულ მაზრებზე მოდის და რაც უფრო ჩამორჩენილია ესა თუ ის კუთხე ეკონომიურად და გონებრივად, მით უფრო ნაკლებ ლტოლვილებას იჩენს ის სამეურნეო ცოდნის შეძენისადმი. ასე თუ ისე, ერთი რამ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, სახელდობრ ის, რომ არსებული სამეურნეო სასწავლებლები ხალხის მოთხოვნილებას ოდნავაც ვერ აკმაყოფილებენ და საჭიროა ახალი სასწავლებლების გახსნა. ეს აუცილებელია, თუ გვინდა ხელი შევუწყოთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინებას.

სოფლის ძველი მეურნეობა დღეს უკვე ინგრევა, მის ადგილს ცდილობს გაჩნდეს ახალი მაგრამ ხალხს ბევრ სხვა რამესთან ერთად აკლია საჭირო ცოდნაც. თუ მართალია თქმულება, რომ—ცოდნა ძალააო, —მართალია ეს პირველ ყოვლისა მეურნის მიმართ, რომელსაც მუდამ საქმე აქვს ბუნებასა და მის რთულსა და მრავალნაირ მოვლენასთან..."

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მენშიკოვი განაგრძობს წერას მეფის ნაცვლის მოხსენების შესახებ. იგი ამტკიცებს, რომ ვორონცოვ-დაშკოვის ოპტიმიზმს ნიადაგი არ აქვს, რადგან, როგორც სომხებში ისე ქართველებში და თათრებში, სეპარატიზმი არსებობს, რაც ნამესტნიკის მოხსენებიდან ნათლად სჩანსო.

„ქართველებისათვის, ნამესტნიკის სიტყვით, მწვავე საკითხია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია—სწერს მენშიკოვი—და ამ საკითხის სრულიად მოსპობა შეუძლებელია; შეიძლება მხოლოდ მისი დროებით გადადება, როგორც თეორეტიული საკითხისა „მომავალ კანონიერ გამოკვლევამდე" ცხადია, რად დასჭირდებოდათ ქართველებს ავტოკეფალია, თუ ისინი ისეთივე მართლმადიდებელნი არიან, როგორც ჩვენ. მაგრამ ეს საკითხი, ნამესტნიკის სიტყვით, ქართველებისათვის **მწვავეა**. და არც შეიძლება მწვავე არ იყოს ისტორიულ ხალხისათვის, რომელსაც ახლო წარსულში ჰქონდა თავისი სამეფო და კულტურა გაცილებით უფრო ძველის, ვიდრე რუსებისა". რასაკვირველია, მენშიკოვს განგებ არ უნდა იმის წარმოდგენა, რომ შეუძლებელია ქართველმა ხალხმა წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე მოისმინოს, შეუძლებელია ისეთი ეგზარხოსების მიერ ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობა, რომელნიც საქართველოს ეკლესიის მოსპობას ლამობენ. მენშიკოვი კვლავ იმეორებს, რომ ავტონომია და ავტოკეფალია ერთიაო. შემდეგ იგი აღნიშნავს...

„ყველა დამპყრობთაგან ჩვენ ყველაზე უგუნურები ვართ მთელ ქვეყნიერობაზე: ვხარჯავთ აურაცხელ ფულს და ვღვრით რუსის სისხლს, რომ მეზობლად მდებარე ტერიტორია დავიმორჩილოთ, და როდესაც მიზანი მიღწეულია, ამ ტერიტორიას გადავცემთ ხოლმე ადგილობრივ მცხოვრებლებს, და ჩვენ კი ვკმაყოფილდებით ადმინისტრაციისათვის ახალი ხარჯების გაღებით. ნახევარ საუკუნის ომიანობამ დასაღუპავ კავკასიაში რუსეთს იმდენი ძალა წაართვა, რომ მთელი ჩინეთის დაპყრობისათვის იქნებოდა საკმარისი; მაგრამ დავიპყარით თუ არა კავკასია, მაშინვე დავუთმეთ იგი ყველაზე მეტად სომხების კოლონიზაციას და ყველაზე ნაკლები კი რუსეთისას"...

მართალს ბრძანებს ბ-ნი მენშიკოვი, რომ დამპყრობი პოლიტიკის მომხრეთა შორის ბევრია მისებრ უგუნური, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ინგლისის მაგალითი ნათლად აჩვენებდა მათ, რომ დაპყრობილ მხარეთა სრული ავტონომია საუკეთესო ღონისძიებაა დაპყრობილთა ერთგულების გასაჭედად. რასაკვირველია, რუსეთმა სისხლი დაღვარა კავკასიის დაპყრობის დროს, მაგრამ განა კავკასიელები მოითხოვდნენ: დაგვიპყარითო? განა საქართველოს დაპყრობა დასჭირდა რუსეთს? მენშიკოვი, რასაკვირველია, არ ამხელს, რომ თუ კავკასიის ადმინისტრაციაზე ბევრი იხარჯება, სახელმწიფოს კავკასიიდან ასი და ათასი მეტი მოგება შედის!

შევიწროვეთ დაპყრობილი ერები, გაძარცვეთ ისინი თავიანთ მიწა-მამუ-

ლიდან—აი ლოზუნგი მენშიკოვისა და კომპანიისა, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ისეთი ლონისძიებანი წინააღმდეგ შედეგებს ჰბადებენ: რაც უფრო მწუთხე მუხრუჭს უჭერენ მენშიკოვისებური პოლიტიკოსები დაპყრობილ ერებს, მით უფრო ღვიძებს მათში ეროვნული შეგნება. დასასრულ მენშიკოვი მთავრობას აფრთხილებს:

„მიწყნარება ყოველთვის კარგი ამინდის მომასწავებელი არ არის. წარსულ საუკუნის ბოლოს სიწყნარის შემდეგ უეცრად იგრიალა ანარქიამ, რომელიც რუსეთს მარტო კავკასიაში სისხლის მდვრელ ომზე არა ნაკლებ დაუჯდა“...

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტის გარდაცვალების გამო.** 10 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველმა ერევნის ეპისკოპოსმა პიმენმა სიონის საკათედრო ტაძარში ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოს ინოკენტის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: მეფის მოადგილის თანაშემწენი—გენერალი ნ. პ. შატილოვი და სენატორი ე. ა. ვატაცი, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, სომეხთა საეპარქიო ეპისკოპოსი მესროპი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ქალაქის გამგეობა, სხვა და სხვა დაწესებულების უფროსნი. გუშინ, ნაშუადღევის სამ საათზე, პანაშვიდი გადაიხადეს ეგზარხოსის სასახლის ეკლესიაში, ხოლო საღამოთი სიონის საკათედრო ტაძარში.

განსვენებული სულ 51 წლისა იყო. დაიბადა ვლადიმირის გუბერნიაში. ეგზარხოსმა (ერობაში ივანე ბელიაევი) ვლადიმირის სასულიერო სემინარიის შემდეგ ყაზანის სასულიერო აკადემია გაათავა. ბერად შევიდა 1895 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. იგი ორს წელიწადს სუმის ეპისკოპოსად იყო, ამდენივე ხანს—ნარვის ეპისკოპოსად. 1903 წელს განსვენებულმა ტამბოვში დამოუკიდებელი კათედრა მიიღო, ხოლო 1909 წელს საქართველოს ეგზარხოსად დანიშნეს.

✦ პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ მოსალოდნელ შიმშილობის გამო **დეპუტატს გელოვანს უბაასნია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევთან.** როგორც „დენ“-ი გადმოგვცემს, უთქვამს დეპუტატის გელოვანისათვის: მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს, როგორ უახლოვდება ქუთაისის გუბერნიას უბედურება შიმშილის გამო. მთავრობა უსათუოდ დაეხმარება მცხოვრებლებსაო.

✦ **ქალაქის ლომბარდი.** ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ დაამზადა მოხსენება ქალაქის ლომბარდისა და საუქციონო დარბაზის მოქმედების გაერთიანების შესახებ. მოხსენება ქალაქის გამგეობამ დაბეჭდა და საბჭოს მომავალ კრებას განსახილველად წარუდგენს. მოხსენებაში კომისია, აგრეთვე ქალაქის გამგეობა საბჭოს შემდეგ წინადადებას აძლევს: 1) დაიხუროს საუქციონო დარბაზი, მისი საქმეების ლიკვიდაცია 1914 წლის 1 იანვრისთვის მოხდეს და დატოვებულ იქმნეს თანამდებობა ორის აუქციონისტისა, რომელნიც ქალაქის ლომბარდში იმუშავებენ და 2) ლომბარდის მოქმედება გაფართოვებულ იქმნეს ამ რიგად: მიიღოს ხოლმე ლომბარდმა ფული შესანახად საწარმოო თანხის გასაძლიერებლად და აგრეთვე მიიღოს ხოლმე ნივთები შესანახად და საკომისიოდ გასასყიდად.

✦ **ტრამვაის მუშათა გაფიცვის დასრულება.** გუშინ, შუადღისას, როგორც იყო გაფიცვა დასრულდა მუშათა გამარჯვებით. დილით ბრიუსელიდან კვლავ მოვიდა დეპეშა, რომლითაც უსახელო საზოგადოებამ დააკმაყოფილა გაფიცულთა ორი უკანასკნელი მოთხოვნილება: 1) მიეცეთ მუშებს გაფიცვის დღეების სრული ჯამაგირი და 2) კონდუქტორ-ვატმანებს კვირა-უქმე დღეებში ეძლიოთ დღე ნახევრის ჯამაგირი. გუშინ, დილის 11 საათზე, ტრამვაის დირექტორმა ფ. პ. ტახტაჯიანცმა გაფიცულთ გამოუცხადა დეპეშის შინაარსი და დაჰპირდა, ყველა დაპირებულ მუხლის აღსრულებას. შუადღის 12 საათზე მუშებმა დაადგინეს, მუშაობის დაწყება და 2 საათზე უკვე გამოუშვეს ექვსი ვაგონი. ვაგონებს ხალხი, რომელიც ტრამვაის მოძრაობის შეწყვეტამ დიდად შეაწუხა, ქუჩებზე დიდის აღტაცებით მიეგება. ნაშუადღევის 3 საათზე უკვე აღდგენილ იქმნა წესიერი მოძრაობა ყველა ხაზზე.

ტრამვაის დირექციამ რკინის გზის სადგურზე 10 ახალი მოტორიანი ვაგონი მიიღო, რომელსაც ამ დღეებში გამოიყვანს.

✦ **ქალაქის საკანტროლო განყოფილების** შტატის გადიდება ქალაქის გამგეობას საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს. ამ აზრით დაამზადა მოხსენება, რომლითაც ქალაქის საბჭოს წინადადებას აძლევს: გადასდოს ფული შტატის გასაძლიერებლად და დაამტკიცოს საკანტროლო განყოფილების წესდების პროექტი. რომელიც გამგეობას უკვე შემუშავებული აქვს.

✦ გაზეთ „კასპის“ სიტყვით, კავკასიაში უნდა ჩამოვიდეს კენის ინსტიტუტის დირექტორი, **პროფეს. სტრიჟევსკი** სამ-ოთხი მოწაფითურთ. მათ უნდა შეისწავლონ ქართული და სომხური ხუროთმოძღვრება.

✦ **ტრამვაი და ქალაქის თვითმმართველობა.** „თანახმად ქალაქის საბჭოს კრების მიერ გამოთქმულ სურვილისა, 10 სექტემბერს ქალაქის გამგეობის წევრმა თ-დმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის კრება მოიწვია კრებას 16 წევრი დაესწრო. პირველად კომისიამ მოისმინა ცნობა რომ ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში ტფილისში საკმარისი ვაგონები არ მუშაობდა და ამას გარდა იყო ხელშეკრულობის სხვა დარღვევანიც. კომისიამ დაადგინა, დააჯარიმოს ტრამვაის დირექცია: ივლისისათვის—30,000 მანეთით, ხოლო აგვისტოსთვის-27,000 მან. ამის შემდეგ კომისიამ ითათბირა გაფიცვის დღეებისთვის ჯარიმის დადების გამო. დაადოს თუ არა ჯარიმა გაფიცვის დღეები მოძრაობის შეწყვეტისათვის,—ამ საკითხის განხილვამდე კომისიამ მეორე საკითხი აღძრა: ამ საგანზე ახლა იქონიოს არსებითად მსჯელობა თუ შემდეგში. 12 ხმით წინააღმდეგ 4 ხმისა კომისიამ დაადგინა, საკითხის განხილვა ჯერჯერობით სრულიად გადასდოს და იქონიოს მასზე მსჯელობა მაშინ, როდესაც საბოლოოდ აღდგენილ იქნება ტრამვაის წესიერი მოძრაობა ამავ კრებაზე გამოირკვა, რომ კომისიას უნდოდა გაფიცვის საქმეში ჩარევა, მაგრამ ადმინისტრაციის მხრით უძლევი დაბრკოლება გადაეღობა.

✦ **ოლგას საბებიო ინსტიტუტის** საბავშვო თავშესაფარის გამგე მ. ზ ქანანოვი, რომელიც საზღვარ-გარედ იყო დასასვენებლად წასული, ტფილისს დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **ხილისა და ბოსტნეულობის მეორე გამოფენა-ბაზარი.** გაიმართება ტფილისში ამწლის 29 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე. გამოფენა—ბაზრის მოთავე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილებასთან ერთად. გამოფენა-ბაზრის მომწყობ კომიტეტს, რომელიც უკვე შეუდგა სამზადისს, ამ დღეებში კრება ჰქონდა ბ-ნ ხეთაგუროვის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა დაადგინა, გამოფენა—ბაზარში მონაწილე მეხილენი ქების ფურცლებით და სხვა და სხვა ღირსების მედლებით დააჯილდოვოს. კომიტეტის ვარაუდით ამ საქმისთვის საჭიროა 1,000 მან., რომელი თანხაც თვით კომიტეტს არ მოეძებნება. ამიტომ დაადგინა, სთხოვოს ფული შემდეგ დაწესებულებებს: მეფის მოადგილის კანცელარიას (საერობო თანხიდან)—500 მან., ტფ. გუბერნიის თავად აზნაურობას—200 მან. და ტფ. ქალაქის თვითმართველობას—200 მან. კომიტეტი 100 მანეთს თავის თანხიდან დახარჯავს. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა ვ. ი. რცხილაძემ ზემო-ხსენებულ დაწესებულებებს უკვე გადასცა ეს დადგენილება სიტყვიერად და მათაც დახმარება აღუთქვეს. გუშინ ამ დაწესებულებებს წერილობითი შუამდგომლობანი გაეგზავნა.

✦ **ქალაქის თვითმმართველობის არქივში** 45 გეგმა აღმოაჩინეს ძველის შენობებისა და ეკლესიებისა, გეგმების შედგენა ორასიოდე ათიან წლებს ეკუთვნის. სხვათა შორის, არის გეგმა არწრუნისეულ სახლისა, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა დღევანდელ ქარვასლისა. გამგეობამ დაადგინა, საყურადღებო ჯემები სამუნიციპალო მუზეუმში შეინახოს.

✦ **ქართულ სიძველეთა კვლევა.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს დავალებით, საზოგადოების წევრი ე. თაყაიშვილი მეცნიერულის აზრით ამ ზაფხულს სამეგრელოში იყო. ბ-ნ თაყაიშვილს, რომელსაც თან ჰყავდა ფოტოგრაფი, მოუვლია სხვა და სხვა ადგილი და მრავალ ძველ ტაძრისა და ფრესკის სურათი გადაუღია. ბევრს ადგილას ხელთ ჩავარდნია რამდენიმე საყურადღებო ძველი ხელთნაწერი, რომელიც აგრეთვე ფოტოგრაფიით გადაუღია. სურათები ბ-ნმა თაყაიშვილმა ტფილისს ჩამოიტანა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უკვე გადასცა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 11 სექტემბერს პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მან. 75 კ., აძლევდნენ—84 მან. 60 კ. ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ - მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ - 82 მან. 80 კ. აძლევდნენ—82 მან. 15 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ., აძლევდნენ—78 მ. 25 კ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ ხარისხის ბილეთებისა—488 მ. მეორისა—377 მან. და მესამისა - 322 მან. 50 კ.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების** გამგეობის კრება, რომელიც 10 სექტემბრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ **ავლაბრის ქართ. სახ. წარმოდგენების მმართველ წრის** გამგეობასა და სარევიზიო კომისიის შორის, როგორც გავიგეთ, ამ ჟამად დიდი უთანხმოებაა ჩამოვარდნილი, რის გამოც სეზონის გასახსნელად დღემდე წინასწარი მუშაობა დაწყებული არ არის. რადგანაც სეზონის დაწყების დრო უკვე არის და უთანხმოებას კი დასასრული არ უჩანს, ამის გამო წრის გამგეობას აზრად აქვს, ამ დღეებში წრის წევრთა საგანგებო კრება მოიწვიოს საქმის გამოსარკვევად.

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 10 სექტემბერს მოხდა. კრებამ განიხილა საკითხი სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების დემონსტრაციის შესახებ, რომლისთვის მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა საზოგადოების განკარგულებაში ამას წინად 500 მან. გადასდო. საბჭოს წევრმა ვ. ი. რცხილაძემ შემდეგი წინადადება შეიტანა: ამ 500 მანეთით და ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა და კერძო მეურნეთა დახმარებით ამ შემოდგომაზე გუთნებისა და ფარცხების დემონსტრაცია გაიმართოს დიღმის მინდორზე და თუ შემდეგ დრო კიდევ დარჩება, დემონსტრაცია გაიმართოს გორის მაზრის იმ ადგილას რომელსაც ქართული და კავკასიის საზოგადოება ერთი მეორესთან შეთანხმებით აირჩევს და ქიზიყში გაიმართოს აგრეთვე დემონსტრაცია თესლის სარკვევ მანქანისა. მეურნეობაში მიღებულ იარაღებისა, სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებისა და სხ თუ ფული (500 მან.) საკმარისი არ აღმოჩნდება განზრახულ საქმისთვის, მაშინ დახმარება ეთხოვოს მეფის მოადგილის კანცელარიას საერობო თანხიდან. კრებამ წინადადება ერთხმად მიიღო და გადასწყვიტა, დემონსტრაცია იარაღ-მანქანებისა ოქტომბრის მეორე ნახევარში გამართოს. შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი ხილის გახმობისა როგორც მზეზე ამერიკულის წესით ისე მანქანების საშუალებით (ცეცხლით). ხილის გახმობის შესასწავლი კურსები გაიხსნება საბაღოსნო სასწავლებელში. საჭირო მანქანები, რომელიც საზოგადოებამ გამოიწერა, უკვე მოსულია რკინის გზის სადგურზე და ამ დღეებში გამოისყიდიან.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის კრება 10 სექტემბერს მოხდა ვ. ი. რცხილაძის თავმჯდომარეობით. გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ სახალხო სახლი კვირა-უქმე დღეებში, დილაობით, ნაშუადღევის 4—5 საათამდე, როდესაც წარმოდგენებისთვის, წინასწარი მზადება იწყება, სრულ განკარგულებაში გადასცეს უნივერსიტეტის გამგეობას, რათა მეტი წეს-რიგი დამყარდეს სახალხო ლექციების გამართვის საქმეში; კერძო ლექციების ნებას სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა არჩევით მისცემს იმ აზრით, რომ რამდენიმედ გააუმჯობესოს ლექციები შინაარსის მხრით სახალხო სახლის აუდიტორიის მოთხოვნილების მიხედვით. ეს დადგენილება გუშინ, 11 სექტემბერს, ქალაქის გამგეობას უკვე წარედგინა. უნივერსიტეტის გამგეობამ მსჯელობა იქონია აგრეთვე ქალთა უმაღლეს კურსების ლექტორის ბ-ნ დუბროვსკის ლექციების თაობაზე. ლექციების დაწყება 15 სექტემბრისთვის იყო დანიშნული, მაგრამ, რადგანაც ამ დროისთვის არ ხერხდება, ამიტომ დაადგინა, სახოვოს დუბროვსკის ლექციების კითხვა 22 სექტემბრიდან დაიწყოს. პირველი ლექციის თემა შემდეგი იქნება: „ისტორია ნაციონალურ იდეის განვითარებისა“. ამის შემდეგ გამგეობამ დაავალა თავმჯდომარის ამხანაგს ტ. გ. მარქარიანს, მოელაპარაკოს სხვა ლექტორებსაც, თანხმობა ჩამოართვას და ლექციის წაკითხვის დრო დანიშნოს. დასასრულ კრებამ მსჯელობა იქონია იმ 300 მან. შესახებ, რომელსაც ქალაქის თვითმმართველობა ყოველ წლივ სახალხო უნივერსიტეტს აძლევს. ქალაქის გამგეობას ეს 300 მან. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში არ შეუტანია. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, შეცდომა გაასწოროს ფულის შეტანით ხარჯთ-აღრიცხვაში და ეს ფული გადასცეს კიდეც სახალხო უნივერსიტეტს.

## სასწავლებლებში

✦ **შიოევის სახელობის სახელოსნო სასწავლებლის** საკითხის გამო 10 სექტემბერს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას, რომელმაც დაავალა ქალაქის ინჟინერს ბ-ნ ჩისლიევს, შეადგინოს სასწავლებლის შენობის გეგმის პროექტი და მოკლე ხანში კომისიას წარმოუდგინოს.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **სპარსეთის** ერთს სოფელში 3 სომხის ოჯახს მართლმადიდებლობა მიუღია. მიზეზად იმას ასახელებენ მემამულე ტყავს გვაძრობს და პატრონი და მფარველი არავინ გვყავსო.

✦ გაზეთი „მშაკი“ მიაქცევს საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სომხურ სემინარიებში ძლიერ ცუდადაა დაყენებული სწავლა-განათლების საქმე. სამს სომხურ სემინარიაში—ტფილისის, შუშის და ერევანში სულ სწავლობს 1000 მოსწავლე, მაშინ როდესაც ტფილისის თითოეულ საშუალო სასწავლებელში 800—1000 შაგირდია. საჭიროა, ამბობს გაზეთი: რომ ხალხის ფული უფრო ნაყოფიერად მოხმარდეს ხალხის საჭიროებას; არა კმარა რამდენიმე ასი მოსწავლე, რომ მით ჩვენი სასკოლო საქმე ღირსეულად ემსახურებოდეს თავის დანიშნულებას —მშობლიური ენის დაცვას. ყოველ წელიწადს მრავალი ყმაწვილი სასწავლებლის გარედ რჩება, სემინარიების გამგენი არა ცდილობენ გააფართოვონ სასწავლებლები ახალი მოთხოვნილების მიხედვით. თუ შუშის სემინარიას უსახსრობისა გამო არ შეუძლია 1000 ბავშის მიღება, ხომ შეუძლია ეს ტფილისის ნერსესიან სემინარიას, მაგრამ ამას არავინ ფიქრობს, ამისთვის არაფერს აკეთებენ. მაშასადამე არის სხვა გარემოება, რომელიც აბრკოლებს საქმეს. გაზეთი მოუწოდებს უმაღლეს სამღვდელოებას და საზოგადოებას მიაქციონ სერიოზული ყურადღება სემინარიების გაუმჯობესობას.

# დღიური

## ეროვნული საკითხი რუსეთში

თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ არცერთი საკითხი არაა ისე მიტოვებული, აბუჩად აგდებული რუსეთში, როგორც ეროვნული საკითხი ეს საკითხი არა თუ გადაუწყვეტელია, აღძრულიც კი არაა ჯერ, არაა ყურადღება მიქცეული; ოდნავად არაა შეგნებული სიდიადე და სიმწვავე რუსეთის ეროვნებათა ურთიერთობის მოწესრიგებისა და ასეთ უყურადღებობას იჩენენ არა მხო-

# „მსოფლიო სევდის“ პოეზია

(შემდეგი *)

ფრიად საყურადღებოა ჰეინეს „ღმერთების ბინდი“, რომელიც ძვირფასად ახასიათებს მგოსნის პირველი ხანის სულიერ განწყობილებას. „ღმერთების ბინდი“ ჰეინემ ლუქსემბერგში შეჰქმნა, ამ დროს იგი სრულიად ერიდებოდა ადამიანებს და მარტოდ-მარტო დაეხეტებოდა პარკში; ფოთოლთა შრიალი პოეტს რაღაც უცნობ სევდის ზღაპარს უთხრობდა და სევდა იგი თან და თან ეუფლებოდა მის სულს. ასეთი სულიერი განწყობილების ნაყოფია „ღმერთების ბინდი“. მასში დიდებულადაა დასურათებული ბუნება, ხოლო მშვენიერი, ხავერდოვანი ვარდებიც და მათი დამატყვევებელი, წარმტაცი სურნელოვანებაც უძლური იყო დაეცხროთ პოეტის ძლიერი სევდა, რადგან მან კარგახანია შეიმეცნა მსოფლიოს წესწყობილება, იცნა ადამიანთა გულის სიბნელე და ყველგან მხოლოდ სიცრუე და მწუხარება იხილა. მაგრამ, როგორც უკვე ვსთქვი, სულის ასეთი განწყობილება ჩინეს მხოლოდ პირველ ხანის შემოქმედებას ახასიათებს, თორემ ისე მსოფლიო სევდა არ ჩაითვლება ჰეინეს შემოქმედების სრულ დამახასიათებლად, იგი მისი მხოლოდ ნაწილია.

„ტანჯვა-ვაებით იძენს ადამიანთა მოდგმა ძმობისა, ერთობისა და სიყვარულის გრძნობას და ყოველი ჭეშმარიტება პირმშო შვილია ტანჯვა-მწუხარებისაო, ამბობს პოლონეთის დიდებული მგოსანი, მრავალ ტანჯულ ერის საამაყო შვილი მიცკევიჩი. მიცკევიჩი იმ დროის შვილია, როდესაც პოლონეთი დანაწილებულ იქნა და სიტყვა სამშობლო შეიქნა პოლონელთათვის სევდისა, სიყვარულისა და იმედის ლოზუნგად. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ მიცკევიჩის მხოლოდ დრამატიულ ნაკვთებზე „ძიადები“, რომელშიაც იგი იობსავით ეკამათება განგებას ქვეყნის ისტორიაში მისი მართლმსაჯულებისა და სათნოების შესახებ. „ძიადების“ ძლიერ მოკლე შინაარსი შემდეგია: კერპთაყვანისმცემელთა ჩვეულებისამებრ მიცვალებულთა მოხსენების დღეს მათთვის საჭმელს ამზადებენ ღამით ნახევრად დანგრეულ სალოცავში და სხვა და სხვა „შეთქმულობის“ შემწეობით იწვევენ მიცვალებულთა აჩრდილებს და მათთან ბაასობენ. პოეტი კონრადი, რომლის მახვილი ფანტაზია გადაიფრენს ყოველგვარ სივრცესა და დროებას, თავის თანამოსაუბრეთაგან გაიგებს, თუ რა დიდ ტანჯვას განიცდის მისი სამშობლო. გაისმის საშინელი კვნესა გოდებისა და შურისძიებისა და ყმაწვილი იგი ვაჟკაცად გარდიქმნება. იგი მწარედ უსაყვედურებს ღმერთს, ქვეყნის ამდენ ტანჯვა-ვაებას რად ითმენო.

„სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე მე უკვე შევეხე მიცკევიჩის ლექს, სააახალწლოდ ციხეში დაწერილს. ლექსში პოეტი ეკითხება თავის თავს, რას ისურვებდა იგი ახალ წლის დამდეგს და ცხოლოდ იმ აზრზე ჩერდება, რომ ყველაზე უკეთესია ხის ფიცრებისაგან შეკრული კუბო, სადაც მყუდროებას ვერვინ დაგირღვევსო მეტად მრავალფეროვანია დიდებულ მიცკევიჩის შემოქმედება, მაგრამ ამჟამად მის შესახებ სიტყვას ვერ გავაგრძელებ.

„მსოფლიო სევდა“ ყველაზე უფრო ნათლად ჩემ მიერ უკვე ხსენებულ ლუიზა აკერმანის ლექსებში გამოსჩანს. და ყველაზე უფრო საყურადღებო სწორედ ის არის, რომ ლუიზა აკერმანის მსოფლიო სევდის მიზეზებს ამაოდ მოსძებნით მგოსნის თანამედროვე დროის სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, თუ მის პიროვნულ ცხოვრებაში. თუ მიცკევიჩის მსოფლიო სევდის მიზეზად პოლონეთის მუხთალ ბედის ტრიალს ასახელებდნენ, თუ ამ მრავალ-ტანჯულ მგოსნის ნაღველით სავსე სიტყვების წარმომშობელად მხოლოდ მის ცხოვრების მრავალ დუხჭირ პირობას სთვლიან (თუმცა მე ამ აზრს ვერას გზით ვერ დავეთანხმები) ამის თქმა ყოვლად შეუძლებელია იმ მგოსნის შესახებ, რომელიც თვით ამბობს თავის თავზე: ბუნებამ ყოველივე მომანიჭა, რაც კი ვსთხოვე, პირველად ყოვლისა, თავისუფალი დრო და დამოუკიდებლობაო. მგოსანს ვერც თანამედროვე მეცნიერების დასკვნანი აკრთობენ, რადგან კარგა ხანია მომზადებული ვიყავი მათ შესახვედრადო.

ლუიზა აკერმანის თითოეულ ლექსს ფილოსოფიურ აზროვნების ღრმა ბეჭედი აზის: „მე არ ვეტყვი კაცობრიობას განვითარდითქო, ამბობს იგი; პირიქით მე მას ვეტყვი: მოკვდი, რადგან ვერავითარი პროგრესი ვერ გააუმჯობესებს შენს ამ ქვეყნიურ ხვედრსო... არა ჯოჯოხეთის, არამედ ცხოვრების შესავალში უნდა დავსწეროთ დანტეს სიტყვები: „შემომსვლელნო დაუტევეთ ნუგეშიო“. აკერმანის აზრით, პოზიტივიზმმა გახდევნა ღვთაება მსოფლიოდან და მის მაგიერ დაამყარა ბუნების ძლიერი და ულმობელი კანონები, მაგრამ იგი თვისივე გამარჯვების მსხვერპლი შეიქნა, რადგან სიცარიელე, რომელსაც სარწმუნოება ჰფარავდა, დღეს აღუვსებელი დარჩა, ხოლო სარწმუნოების დაკარგვით ადამიანმა დაჰკარგა ყოველივე ის, რაც მისთვის, ყველაზე უფრო ძვირფასი იყო.

რუსეთში მსოფლიო სევდის მგოსანი ლერმონტოვი იყო. იგი ერთს თავის ლექსში („Выхожу одинъ я на дорогу“) შემდეგ სურვილს გამოსთქვამს: მშვენიერ ღამის ხილვის დროს იგი ინატრის დავიწყებას მიეცეს და სამუდამოდ დაიძინოს, მხოლოდ ისე კი, რომ მის გულში კვლავ სთვლემდნენ სიცოცხლის ძალნი, რომ მის საფლავთან მდგომი მუხა მისკენ დახრით იხმაურებდეს და არ შესწყდებოდეს დიდებული სიმფონია მსოფლიო სიყვარულისა. დამოკიდებულებას ადამიანისა ღვთაებისადმი, ბუნებისა და კაცობრიობისადმი ლერმონტოვის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს. მგოსანის სულიერ განწყობილებაში ხან სარწმუნოება იმარჯვებდა („ლოცვა“ და „ანგელოზი“) და ხან კი პროტესტის ძლიერი გრძნობა და ღრმა პესიმიზმი („И скучно и грустно“ და სხვა).

ერთი რუსი კრიტიკოსი შემდეგ აზრს გამოსთქვამს ლერმონტოვის ლექსის „ფიქრი“-ს („Думы“) შესახებ: „იგი უნდა მსოფლიო თვალსაზრისით, ესე იგი მარადისობის სიმაღლიდან, განვიხილოთ; მასში ლერმონტოვმა ის საყვედური გამოსთქვა, რომლის განმეორება მსოფლიოს აღსრულებამდე შეუძლია ყველა მოდგმასო“. (იხ. Андреевскій, литер. чтеніе გვ. 225 და შემდეგ).

**ვლ. სოლოვიოვი** ლერმონტოვს იმ სულიერ განწყობილების პირდაპირ მამამთავრად სთვლის, რომელსაც „ნიცშეანიზმი“ შეგვიძლია ვუწოდოთო, იმ მწერლის სახელის მიხედვით, რომელმაც ყველაზე უფრო ხმამაღლა და გარკვეულად გამოსთქვა ეს განწყობილებაო.

რუსეთის განთქმული კრიტიკოსი **ვ. ბელინსკი** ლერმონტოვის პოეზიას მაღლა აყენებდა პუშკინის პოეზიაზე; სახელდობრ, იგი მას უფრო საგულისხმიეროდ, გონივრულად სთვლიდა. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს აზრი, ხოლო ის კი სიმართლეა, რომ ლერმონტოვის შემოქმედება უფრო მშფოთვარე და მუდამ მოუსვენარი იყო ადამიანის ქვეყნიურ არსებობას მრავალ „წყეულ“ საკითხის შესახებ ფიქრით. და ამ მოუსვენლობის ღრმა ბეჭედი ცხადლივ ატყვია ლერმონტოვის შემოქმედებას, რომლის სიცოცხლეც აგრე რიგად შეჩვეოდა მწარე პესიმიზმის მეტად ხშირ სტუმრობას.

ჩვენში „მსოფლიო სევდის“ პოეზის წარმომადგენელი „სულით ობოლი“ მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, რომლის ქნარს მწუხრად აჟღერებდა ქვეყნიური ცხოვრების უკუღმართობა. ჩემი წერილის მიზანს არ შეადგენს ნ. ბარათაშვილის პოეზიის საერთოდ განხილვა; მე მხოლოდ იმაზე შევჩერდები, თუ რა სახე მიიღო მსოფლიო სევდამ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. „დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიმდე, რომელსაც კაცნი წაიდებს ამ სოფლისაგანო“*), აი რასა სწერდა მგოსანი თვის დას. იგი დარწმუნებულია, რომ ქვეყნად უცვლელი არა არის რა, რომ ბედნიერება წარმავალი და შეურჩენელია. მაშასადამე, რა არის ჩვენი სიცოცხლე? აი კითხვა, რომელზედაც ჩვენს მგოსანს ასეთი აზრის შემდეგ უეჭველად პასუხი უნდა მოეცა. დ მგოსანიც მწარედ წარმოსთქვამს: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი, თუ არაოდენ საწყაული აღუვსებელი! ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით იგი „ეკმაროს?“ ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მგოსანს, ჩემის აზრით, მხედველობაში ჰქონდა არა მარტო თვისი დრო, არამედ საერთოდ ცხოვრება და ამ მხრივ ნათლად ხასიათდება ჩვენი პოეტის მსოფლიო სევდა, რომლის შუაგული ადამიანის სულის მუდმივ დაუკმაყოფილებას უჭირავს. ეს დაუკმაყოფილება ზნეობრივი ხასიათისაა. და ადამიანის იდეალსა და ცხოვრების შორის შეუთანხმებლობითაც გამოწვეული. ამასთანავე, თუ გნებავთ, ის სული-

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 990.

*) მოიგონეთ ჩემ მიერ უკვე მოტანილი სიტყვები ლეოპარდისა ბედნიერების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ მთავრობის წარმომადგენელნი და მათი მოქომაგე-მომხრე საზოგადოებრივი ჯგუფები, არამედ დემოკრატიული წრეებიც, მემარცხენე და უკიდურესი პარტიებიც.

რუსის ხალხისთვის არ არსებობს ეროვნული დაჩაგვრა, შევიწროება, ეროვნული განცდა, რუსის ხალხის სხვადასხვა წარმომადგენლისთვის არ არსებობს ეროვნული საკითხი, რუსის ერის ბედი პირდაპირ გადაბმული არაა ეროვნულ არსებობის საკითხთან, იგი ეროვნულად უზრუნველყოფილია თვითონ და სხვისის, გარეშე არა-რუსთა ეროვნულის მდგომარეობით არაა პირდაპირ დაინტერესებული. აკლია ამისთვის საზოგადო და პოლიტიკური—სახელმწიფოებრივი განვითარება. ერთის მხრით, შეიძლება კიდეც გაგვიკვირდეს, რომ ის პარტიებიც, რომლებსაც თავის საგნად თავისუფლებისა და სამართლიანობის დამყარება დაუსახავთ, გვერდს უხვევენ ერთა თანასწორობის დამკვიდრებას, მაგრამ ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ყოველივე ჯგუფი, რაც უნდა მემარცხენე იყოს, ემორჩილება საერთო მდგომარეობის პირობებს, ერის საზოგადო განვითარებას და რაც არ ეგუება მთელს ერს, მას ვერ ეთვისება ერის სხვადასხვა ნაწილიც. რუსის ზომიერები, ლიბერალები, თუ დემოკრატები, ერთის თვალთსაზრისით ხელმძღვანელობენ და თუ, მაგალითად, ქართული კულტურის უარყოფა, ქართული ენის გამოძევება სკოლებიდან, ქართველების დაჩაგვრა მეტად ძნელი წარმოსადგენი და შესაგნები მოვლენაა უბრალო რუსისათვის, თითქმის ამგვარადვე უცნობი მხარეა მთელი საქართველო, მისი გაჭირვება და დალხინება განათლებული, დემოკრატიულად მოაზროვნე რუსისთვისაც.

გავიხსენოთ, თუ რა სასტიკი წინააღმდეგობა და კამათი გამოიწვია ამ რამდენისამე წლის წინად რუსეთის სოციალდემოკრატიულ წრეებში ისეთის ბუნდოვანის საზოგადო უფლების აღიარებამ, როგორიცაა ერის თვითგამორკვევის უფლება: შოვინისტების და რეაქციონერების სახელით ნათლავენ, თუ რომელიმე დაჩაგრული ერის წარმომადგენელნი მოითხოვენ, რომ მათ მეტი სერიოზული ყურადღება მიაქციონ ერთა ურთიერთობის საკითხს. შედარებით მეტის პატივისცემით ეკიდება საქმეს მეორე დემოკრატიული ჯგუფი, რომელმაც რამდენჯერმე სცადა კიდეც თვითონ არა რუსის ერების წარმომადგენლების დახმარებით შეემუშავებინა გეგმა ეროვნულის საკითხის გადასაწყვეტად რუსეთში. მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ამის ცდაც მხოლოდ გახყენებული თეორეტიული მსჯელობა იყო და მის სუსტს მუშაობას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ ჰქონია. არას ვიტყვით კადეტების და მათგვარ პარტიების შესახებ—მათთვის ისეთი პატარა ერი, როგორიც ქართველი ერია, არც კი არსებობს; ისინი სცნობენ რუსების გარდა ებრაელებს, პოლონელებს და ფინლიანდელებს; ჩვენ და ჩვენისთანებს არჩევნების დროს თუ მოგვიგონებენ მარტო, ისიც, რასაკვირველია, ენის სილამაზისათვის, დემოკრატიული სიტყვების მოსაკაზმავად.

ვიმეორებ—ეროვნული საკითხის შეუგნებლობა მთელი რუსეთის საზოგადო თვისებაა, და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის მცხოვრებთა ნახევარზე მეტს არა რუსნი შეადგენენ და მზადდება ნიადაგი ერთა დამოკიდებულების გამწვავებისა და გართულებისათვის. კულტურა ეროვნებას არსად არ სპობს, იგი თუ ერთის მხრით აახლოვებს ერებს, მეორეს მხრით აძლიერებს, აღრმავებს, აფართოვებს ეროვნულს თვისებებს, ეროვნულს პიროვნებას. ასე ხდება რუსეთშიაც; რამდენად დაუახლოვდება ევროპიულს ცხოვრებას, განვითარდება პოლიტიკურად, იმდენად გართულდება ეროვნული საკითხის გადაწყვეტა რუსეთში. აქ ბევრი ისტორიული-კულტურული ერია, რომლებიც არასოდეს არ უარყოფენ თავის ვინაობას. ეროვნულ-კულტურულ ცხოვრებას იწყებენ ისეთი ტომებიც კი, რომლებსაც ამის შეგნება წინად არა ჰქონიათ. უეჭველია, მარტივი ელემენტარული სახელმწიფოებრივი წინდახედულობა მოითხოვს, რომ რუსის მმოქმედმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა ანგარიში გაუწიონ ამ გარემოებას, ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ სავსებით, რომ ეროვნული საკითხი, არარუსთა ეროვნული არსებობის უზრუნველყოფა, ერთა ურთიერთობის მოწესრიგება რუსეთის სახელმწიფოს უდიდესი საკითხია, ერთხელ და სამუდამოდ ამოიქრან გულიდან ფიქრი სხვა ერების გადარჯულებისა და გადაგვარებისა. საჭიროა, რომ ყველაზე უწინარეს რუსის ერის მოწინავე, დემოკრატიულმა ნაწილმა გულწრფელად იცნოს და აღიაროს საჯაროდ: რუსეთში მცხოვრები ყველა ერი თანასწორ უფლებით და თავისუფლებითაა შემოსილი. ეს პირველი საფეხურია იმ დიდებული ტაძრისაკენ, რომელსაც ადამიანთა და ერთა ძმურს ერთობას ვუწოდებთ.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო სახელმწიფო სათათბიროს შრომის ჯგუფის განცხადება, რომ მას განუზრახავს ეროვნულ დემოკრატიულ ჯგუფების დახმარებით გამოირკვიოს რუსეთში მცხოვრებ ერების მდგომარეობა და პრაქტიკულად შეუდგეს ეროვნულ უფლებათა დაცვას, სათათბიროში გამოსვლით, თუ სხვა გზით. ჯგუფი აცხადებს: დავიცავ ყოველი ერის უფლებას, რომ თავისუფლად იხმაროს დედაენა ეკლესიისა, სკოლისა, სასამართლოსა და ადგილობრივ თვითმართველობის მოთხოვნის ფართო ავტონომიის სახითო.

ჩვენ სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ასეთს განზრახვას, ასეთს სისტემატიურს მუშაობას, და არა შემთხვევით გამოსვლას ერების დასაცავად. ვისურვოთ, რომ ამით ცოტათი მაინც მომზადდეს ნიადაგი დიდი ეროვნულის საკითხის გადასაწყვეტად...

**სიტყვა.**

---

ერი ობლობა, რომელსაც მწარედ დაჰკვნესდა ჩვენი მგოსანი, გამოწვეული იყო არა მარტო თანამედროვე ცხოვრების უკულმართობით, არამედ საერთოდ იმ შეგნებით, რომელიც მგოსანს მარადის უკარნახებდა საზოგადოდ ქვეყნიურ ცხოვრების ამაოებას. მგოსანმა კარგა ხანია სცნა „სოფელი მოღალატი", სცნა წუთისოფლის ამაოება და განსაკუთრებით შეიმცნო იგი უნაყოფო ცხოვრება, რომელსაც მის გარშემო ატარებდნენ. „ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარო," ბარათაშვილი ჩემ მიერ უკვე ხსენებულ წერილში. საერთოდ ბარათაშვილის მსოფლიო სევდის ძვირფასი გამომხატველი მისი ლექსი **„მერანია"**, რომელშიაც მგოსანს ომი გამოუცხადებია ადამიანის ამ ქვეყნიურ ხვედრისათვის და საერთოდ საუკუნოებით დაკანონებულ მსოფლიოს წეს-წყობილებისათვის. მაგრამ ბარათაშვილი უკიდურეს პესიმიზმამდე არასოდეს არ მისულა. იგი გულმტკივნეულად გვეუბნება: მართალია წუთისოფელი გაუტანელია, მწარეა ჩვენი ხვედრი, მაგრამ:

კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას
მშობლისა-ო.

აღსანიშნავია, „მსოფლიო სევდის" თითქმის ყველა მგოსანი უბედური იყო სიყვარულში. მრავალ-ტანჯულ ლეოპარდის სწყუროდა სიყვარული, ძვირფასი ადამიანის ახლოს სიცოცხლე, მაგრამ ეს იყო მისი გულწრფელი სურვილი: მგოსანი ისე ჩავიდა სამარეში, რომ ვერ ეღირსა სატრფოს ხილვას და ყველასაგან მიუკარებელმა, მიუსაფარმა დახუჭა სამუდამოდ თვალები. ნიკოლოზ ლენაუ სატრფომ მდიდარ ვაჭარზე გასცვალა და იმდენად ძლიერი იყო ამ შემთხვევით გამოწვეული ტკივილი მგოსნის გულში, რომ შეშლილიყო, როდესაც მეგობრებმა მას წინადადება მისცეს ერთ ღრმად პატივცემულ ქალზე ჯვარის დაწერისა, ლენაუმ მწარე სიტყვებით უთხრა მათ უარი: „ძვირფას სიხარულს ორჯელ ვერვინ იხილავს. ჩემთვის სიყვარულის დრო უკვე წავიდა სამუდამოდ; და უფლება აღარა მაქვს ჩემს დამჭკნარს გულს მივიკრა ეს ძვირფასი ვარდიო. ბაირონისა, ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შესახებ აღარას ვიტყვი, რადგან, ყველამ იცის ის, თუ სატრფოს როგორი გაუწყვეტელი მიმართ იყო მოცული მათი სიცოცხლე.

საყურადღებოა აგრეთვე ის გასაოცარი დამოკიდებულება, რომელიც „მსოფლიო სევდის" მგოსნებისა და ბუნების შორის არსებობს. თითოეული მათგანი ბუნებასთან დაახლოვებაში ეძიებს სულის სიმშვიდეს, მის კალთაში ლამობს „სანუგეშოდ ინამოს ცრემლით". ბაირონს უყვარდა ალპებს შორის, სადმე განმარტოებულ კლდის წვერზე, ჯდომა, სადაც იგი ელოლოდა თვის მწარე ფიქრებს და აქვე ლამობდა მათს დაყუჩებას. ჰენრიხ ჰეინემ ბუნების კალთაში შექმნა თვისი „ღმერთების ბინდი", ხოლო ნ. ბარათაშვილი ხან მთა-წმინდას და ხან მოდუდუნე მტკვარს მიაშურებდა სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად.

**ალ. წერეთელი.**

(დასასრული იქნება)

# უიმედო იმედი

ის-ის იყო გავიგონე მატარებლის ქშენა
და მოჰკურცხლა კოლხეთისკენ... წაგიყვანა 'მენა.
ის-ის იყო ერთი ლექსი ყურში ჩაგჩურჩულე
და შეირხა ორთქლმავალი... ველარ დავასრულე,
და იმ ლექსსა დამთავრებულს კვლავ მოისმენ განა?..
მე აქ დავრჩი. შენ კი... შენ კი წაგიყვანა თანა.

იცი! შენ თუ მართლა წახველ, მე ეს არა მჯერა—
რადგან სიზმრად შენი სახე ვნახე რამდენჯერა:
მე ვხედავდი თვალთა ჟღერას, ვარდის ფერ სიარულს;
მე ვხედავდი თმების ღიმილს, ღიმილსა მხიარულს;
მე თვით, მე თვით გავიგონე შენი ხმათა ბგერა...
და შენ წახველ? მართლა წახველ?—რა ვქნა—არა მჯერა.

მე დღეს ვსტირი! მე დღეს ვსტირი! ვსტირი, ვსტირი ისე,
ვით ნაკადი საოცნებო ნაზად მოკისკისე;
დღეს ვეწვიე შენს სარეცელს, და რა მომელანდა:
შენი ტანის ხვეულები შენს ლოგინზე სჩანდა...
და ის ნაკვთი, ის ნაკვლივი იყო ისე ნაზი,
ვით ტილოზე ქანდაკება ყალმით მონახაზი.

ლექსს ვამბობდი. შენ კი... შენ კი ისე გაემგზავრე,
რომ სიტყვები პოეტისა ველარ დავამთავრე;
და იმ ლექსსა დამთავრებულს კვლავ მოისმენ განა?..
მე აქ დავრჩი, შენ კი... შენ კი წაგიყვანა თანა.
და არ ვიცი, ეხლა გულში თუ რა უნდა მედოს,
რა დავარქვა ამ ჩემს იმედს, იმედს უიმედოს?!.

**ი. გრიშაშვილი.**

# ქალაქის გამგეობა და წესიერი დასვენება

1912 წლის პირველი ივლისი აღბეჭდილი იქნება ქალაქის ნოქრების ისტორიაში. ბევრჯერ დაიწერა გაზეთებში წესიერი დასვენების შესახებ, ბევრნაირი აზრი გამოითქვა მაგრამ, სულ წყალის ნაყვა გამოდგა. პირველ ივლისს 1912 წელს, როდესაც სავალდებულო დადგენილება ნოქრების წესიერი დასვენების შესახებ სისრულეში მოიყვანა პოლიციამ, ასტყდა ალიაქოთი, შეჰქმნეს განგაში ვაჭრებმა: გვიშველეთ, ვიღუპებით, დაგვიხსენით ღვთის გულისათვისო. მერე, რა მოხდა ასეთი? მოხდა ის, რაც სხვა ქალაქებში და უბრალო დაბებშიაც-კი დიდი ხანია განხორციელებულია. ეს წესრიგი მხოლოდ ჩვენი კურთხეული ქალაქისათვის ყოფილა პირდაპირ დამღუპველი და აკი დატრიალდნენ კიდეც. ჩვენი ქალაქის მამები: დანიშნეს საჩქარო თათბირი, მიმართეს თხოვნით გუბერნატორს და დაიხსნეს ჩვენი ქალაქი დაღუპვისაგან, ესე იგი სამი დღის შემდეგ უკანვე წაიღეს პირველ ივლისის დადგენილება, მაგრამ თან ნოქრებს შეჰპირდნენ: ორი თვის შემდეგ, ქალაქის ხმოსნებს საზაფხულო დასვენების შემდეგ, გაგაბედნიერებთ და მოგანიჭებთ წესიერ დასვენებასო; და აასრულეს თავისი დაპირება ისე, როგორც მოსალოდნელი იყო: შემდეგ დიდი თათბირისა გაგვაბედნიერეს ისე, რომ ღირსნი არა ვართ: ქალაქის ნოქრების იმ ნაწილს, რომელიც თხუთმეტ საათს მუშაობდა; იმის მაგიერ, რომ შეემოკლებინათ სამუშაო დრო, თევქსმეტი საათი გააუხადეს, რაზედაც ნოქართა ერთმა ნაწილმა უკმაყოფილება განაცხადა და დარბაზიდან გავიდა, ბატონმა ქალაქის თავმა მიჰმართა მათ, თუ არ დასთანხმდებით ასეთ დადგენილებას, ქალაქის თვითმართველობის კარები დახურული იქნება თქვენთვისო და ამის შემდეგ რაღა უნდა გვექნა? ახალი დადგენილება სისრულეში მოიყვანეს. ასე რომ, საწვრილმანო, გასტრონომიული, თევზეულის, სარძეო, საყასბო და სამიკიტნო დუქნები, რომელიც იღებოდა არა უგვიანეს რვა საათისა და იკეტებოდა ცხრა-ათ საათზე, ახლა უნდა გაღებულიყო რვა საათზე და დაკეტილიყო თერთმეტ საათზე, ხოლო კვირაობით რვიდან პირველ საათამდე, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ესეც ტყუილი გამოდგა; მხოლოდ ქაღალდზე დაიწერა და სხვა არაფერი. ნამდვილად კი ზემოხსენებული სავაჭრო დაწესებულებანი იღება ჩვეულებრივად დაწყებული ექვსი საათიდან ვიდრე რვამდე და იკეტება თერთმეტ საათზე, კვირაობითაც იღებენ ჩვეულებრივად ექვსი საათიდან და რომელიც უნდა იკეტებოდეს პირველ საათზე, ღიაა ნაშუადღევის 4 საათამდე, ზოგან რვამდეც, და თუ რომელიმე სავაჭრო დაწესებულება ჰხურავს დუქანს, სულ ერთია მაინც დახურულ დუქნებში ამუშავებენ ნოქრებს. იმათაც ხმა ვერ ამოუღიათ, რადგან ყურის მგდები არავინ არის, ნუ თუ არ იციან ჩვენმა ქალაქის მამებმა ეს ხრიკი ჩვენი ქალაქის ვაჭრებისა ძალიან კარგადაც იციან, მაგრამ რად ესაჭიროებათ ნოქრების დასვენება, ნოქრებს ხომ ადამიანად არ სთვლიან! ეს დადგენილება ქაღალდზე ხომ დაიწერა, სხვა რაღა უნდა ნოქრებს, ესეც საკმარისია; ამას ისიც უნდა დაუმტკიცოთ, რომ კვირაობით საწვრილმანო დუქნები წინად მთელ დღეს იკეტებოდა და ახლა კი ჩვენი ქალაქის მამების წყალობით ნება ეძლევათ კვირაობითაც ივაჭრონ და რატომ არ ისარგებლებენ ბ-ნნი ვაჭრები. ქალაქის აგენტებიც, შორეული თვალ-ყურის მგდები სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანისა გულგრილად ეკიდებიან დავალებულ საქმეს. ნეტავ, როდის უნდა გაუთენდეს საწყალს მშრომელს?

**ნოქარი.**

# სათათბირო და საზოგადოება

(ინტერვიუ სათათბიროს დეპუტატ ა. თ. კერენსკისთან)

მკითხველებმა იციან, რომ დეპუტატ კერენსკის ლექციის წაკითხვის ნება არ მისცეს. ა. თ. კერენსკი—შრომის ჯგუფის თავმჯდომარის ამხანაგია - ცნობილია როგორც გაბედული და გულწრფელი ორატორი. რუსის საზოგადოება იცნობს მას სათათბიროს ტრიბუნიდან მტკიცედ დასაბუთებულ წარმოთქმულ სიტყვებით. ყველა ერის დემოკრატიის პოლიტიკურ თავისუფლებას და შრომის უფლებას კერენსკი მედგრად და იშვიათის თანდათანობით იცავს. ამიტომ კერენსკის მიერ დახასიათება სათათბიროსი, იმ მხრივ თუ რანაირ ურთი-ერთობაშია მეოთხე სათათბირო საზოგადოებასთან, ჩვენთვის მეტად საინტერესო უნდა იყოს.

მეოთხე სახ. სათათბირო დიდ კრიზისს განიცდის, რასაც ფრიადი მნიშვნელობა აქვს ახლო მომავლისთვის. ჩვენს უფლებას და მოვალეობას შეადგენს ვიცოდეთ, როგორ უცქერის ამ კრიზისს „დაავადებული სათათბიროს" ერთი მისი გამოჩენილ წევრთაგანი. ამ აზრით მივმართეთ ჩვენ ა. თ. კერენსკის, რომლის პასუხიც აქვე მოგვყავს.

—როგორი აზრისაც არ უნდა იყვეთ სათათბიროზე, ეხლანდელ მესამე ივნისის სათათბიროზე, ერთს რამეში ყველანი თანახმა არიან: სათათბირო ერთად-ერთი სახალხო ტრიბუნაა რუსეთში, სიიდანაც გაისმის სამართლიანი ხმა, სათათბირო გახდა რუსეთის სახელმწიფოს ახალ ფაქტად, რომელსაც ანგარიშს უწევს მთავრობა და რომელსაც საზოგადოებამაც ანგარიში უნდა გაუწიოს.

ყველა იმ ბოროტმოქმედების წყალობით, რომელითაც სათათბიროს წარსულ არჩევნებში უნდოდათ მორჩილ სათათბიროს შექმნა, მთავრობამ ვერ შესძლო თავისი გატანა და მოხდა ისე, რომ მეოთხე სათათბიროს არ ჰყავს უმრავლესობა-ცენტრი. ამით სათათბიროს დაეკარგა პოლიტიკური ერთიანობის (!) ხასიათი. მის მუშაობას არ ეტყობა მთლიანობა, თანდათანობა. ეს დამახასიათებელი თვისებაა ახლანდელი სათათბიროსი, რომლითაც ის მესამე საგან განირჩევა. მესამე სათათბირო „ზუბრებისა" იყო, გაჟღენთილი კონტრ-რევოლუციონური სულით და ყველაფერში მორჩილი მონა განსვენებულ სტოლიპინის მთავრობისა, თუ მესამე სათათბიროს ის უპირატესობა ჰქონდა ახლანდელთან, რომ მას ცენტრი ჰყავდა, მეოთხე სათათბიროსაც აქვს თავისი უპირატესობა, რომელიც არ ჰქონდა „ზუბრების" სათათბიროს: მეოთხეში აღარ არის მთავრობის წინ ქედის მოხრის სურვილი. ახლა არა მარტო კადეტებმა და პროგრესისტებმა, არამედ ოქტომბრისტთა უმრავლესობამაც კი შეიგნო, რომ მთავრობას არამც თუ კუდში არ უნდა მივდიოთ, არამედ საჭიროების მიხედვით შევებრძოლოთ კიდეცო.

—სწორედ ამ გარემოებამ, უმრავლესობის მიერ თავის მოვალეობის შეგნებამ და მოქალაქობრივმა გრძნობამ, წარმოშვა ის კრიზისი, რაზედაც ასე ბევრს სწერდნენ წარსულ სესიის დროს. სათათბირო უხერხულ მდგომარეობაშია: უნდა დაიცვას ის საერთო უფლებები 17 ოქტომბრის მანიფესტისა, რომლის წინააღმდეგ მესამე სათათბიროში თვითონვე—კადეტები და ოქტომბრისტები—იბრძოდნენ, როდესაც ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ.

—ახლანდელ სათათბიროს შემოქმედებითი მუშაობა არ შეუძლიან. სახალხო წარმომადგენლობა კრიზისში იქნება და ვერც დააღწევს თავს, ვიდრე ზომიერი საოპოზიციო პარტიები (ოქტომბრისტები, კადეტები) უმცირესობას შეადგენენ, ფაქტიურად გავლენას მოკლებულნი არიან, კიდევაც იბრძვიან ძირითადი უფლებებისთვის, ხოლო როდესაც უმრავლესობას ესევე პარტიები შეადგენენ, ბრძოლას გააჩაღებენ იმის წინააღმდეგ, რასაც წინად იცავდნენ.

რომ დღევანდელ სათათბიროს ოპოზიციას ხალხთან კავშირი არ აქვს და არ შეუძლიან ბრძოლა გასწიოს მოზღვავებულ რეაქციასთან, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მეოთხე სათათბიროს არ აქვს არავითარი საერთო მუშაობის გეგმა. დღეს გადასწყვეტს ერთს, ხვალ კი, სათათბიროს დათხოვნის შიშით, სულ სხვას დაადგენენ.

—რა გზით შეიძლება ადამიანმა თავი დააღწიოს ამ მდგომარეობას? აშკარაა, ეხლანდელი მდგომარეობა სამუდამო ვერ იქნება. ამ შემთხვევაში დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ისეთი ოქტომბრისტის აზრი, როგორიც მაკლაკოვია. მაკლაკოვი პირდაპირ მოუწოდებს ოქტომბრისტებს, მთავრობასთან ყოველივე კავშირი შესწყვიტონ, ეგებ ამით ცოტათი მაინც აღადგინონ სათათბიროს შერყეული ნდობა.

—შემოქმედებითი, გულდადებითი მუშაობა სათათბიროში არაა. ასეთი მუშაობა ყველასთვის შეუძლებლად არის მიჩნეული, რადგან სახელმწიფო საბჭოს ყოველთვის შეუძლიან წინაღუდგეს ასეთ მუშაობას. ამით აიხსნება სათათბიროს „უნაყოფობა", რაც მემარჯვენეების დაცინვას იწვევს. ამით აიხსნება სათათბიროში გამეფებული „მოწყენილობა", დეპუტატების აბსენტიზმი, გულაცრუება და სასოწარკვეთილება, რაზედაც გასულს ზამთარს ასე ბევრს სწერდნენ. ასეთი სასოწარკვეთილება იმ ზომიერ ჯგუფებისა, რომელნიც იმ აზრით მოდიოდნენ სათათბიროში, რომ ეკანონმდებლათ, ადვილი გასაგებია. ამ დეპუტატების სასოწარკვეთილებით აიხსნება ისიც სხვათა შორის, რომ ბევრი მათგანი დეპუტატობას თავს ანებებს. მეოთხე სათათბიროს არ შეეძლო მემარცხენენი სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო, რადგან არაფერს გამოელოდნენ და არც სწამთ მისი შემოქმედებითი მუშაობა, მემარცხენენი დარწმუნდნენ, რომ მათი აზრი სათათბიროს შესახებ მართალი იყო.

—მეოთხე სათათბიროს „მუშაობა" ჯერ-ჯერობით გამოიხატა შემდეგში: წარსულ სესიაში სათათბირომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი 400 კანონ-პროექტი მიიღო მაგრამ... ამ „ვერმიშელში" ცოტაა იმისთანა, რომელსაც ხალხის ინტერესთან კავშირი ჰქონდეს, მეტი წილი კანონ პროექტისა ბიუროკრატიისთვის იყო საჭირო—სახელმწიფოს მართვას შეეხებოდა. ასეთმა საკანონმდებლო „ნაყოფიერებამ" ერთი საგულისხმო მხარე გამოაშკარავა. სათათბიროს უმრავლესობამ არც კი იცოდა, რომელი პროექტებს დაესმებოდა ხოლმე ბეჭედი სათათბიროს თავმჯდომარის კათედრაზე. მცხოვრებთათვის რომ ცოტათი მაინც მნიშვნელობა აქვს, ისეთი კანონ-პროექტი სათათბირომ განიხილა 26, მაგრამ უმრავლესობა ამ კანონ-პროექტებისა მთავრობის მხრით დაუმუშავებლად წარმოდგენილ იქნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონ-პროექტები სინათლეს ვერ იხილავენ. მართალია, მთავრობამ შემოიტანა ორი „დამუშავებული" პროექტი: სიტყვითი ბეჭდვის და ხულიგნობის თაობაზე. თქვენ გეცოდინებათ, რასაკვირველია, როგორ შეხვდა საზოგადოება და პრესა ამ პროექტებს.

—გარდა ამისა მთავრობა უსათათბიროდაც ადვილად მიდის და 87 სტ. ძალით გაჰყავს სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კანონები. როგორც, მაგალითად, კანონები სამხედრო-საექიმო აკადემიისა და ციმბირში გადასახლების თაობაზე. მყარდება თავისებური „კონსტიტუცია". მთავრობა კანონმდებლობს—სათათბირო ან ამტკიცებს მთავრობის პროექტებს ან და შორიდან უცქერის, რომ სათათბიროს გარეშე პროექტები ძალაში შედიან...

ამით უნდა ავხსნათ, სხვათა შორის, ის გარემოება რომ მეოთხე სათათბიროში შეკითხვებმა დიდი ადგილი დაიჭირეს. შეკითხვები—დღეს ერთად ერთი საშუალებაა საქვეყნოდ გამოაცხადოთ, რა ხდება რუსეთში და მოითხოვოთ მთავრობისაგან პასუხი. რეალური შედეგი ასეთი შეკითხვებისა ნულს უდრის, რადგან დამნაშავეთგანი არავინ არ დასჯილა. პირიქით, ზოგიერთებს მადლობას და მოწონებას ეუბნებიან და სამსახურშიც აწინაურებენ. აშკარაა, ასეთი შეკითხვების რაიმე „რეალურ" მნიშვნელობაზე არავინ ჰფიქრობს. მთავარი აქ ის არის, რომ შეკითხვები მცხოვრებლებისთვის ბევრს ისეთს რასმე გამოაშკარავებს, რაც სათათბიროს გარეშე გაუგებარი დარჩებოდა.

(შემდეგი იქნება)

# თეატრი და ხელოვნება

კვირას, 15 სექტემბერს, **ხარფუხის ქართული** სახალხო წარ. მმართველი წრე იწყებს სეზონს მუსულმანთა აუდიტორიაში. წარმოდგენილი იქნება: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" ავქ. ცაგარლისა. ფასები სახალხო: 4 კ.—50 კაპეიკამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ტფილისის სომხურმა** დრამატიულმა საზოგადოებამ უკვე შეადგინა დასი მდგომარე სეზონისათვის. დასში იქნებიან ქ-ნნი სირანუიში, ადამიანი, არმენიანი, გოზალიანი, ზარიფიანი, ასმიკი, ბ-ნნი ზარიფიანი, სევუმიანი, არმენიანი, მანველიანი, ტერ-არაქელიანი, მურადიანი, პაპაზიანი და სხვ. სეზონი დაიწყება შანტის „ძველის ღმერთებით".

**თათრული წარმოდგენების** სეზონი ტფილისში დაიწყება 13 სექტემბერს. რეჟისორად მოწვეულია ველი. წარმოდგენებში, სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს გერმანიიდან მოწვეული არტისტი კაჩარლიხსკი.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**10 სექტემბერი.**

**უცხოეთი.**

**სტამბოლი.** ზავის კონფერენციამ მიიღო შემდეგი მუხლები ხელშეკრულებისა: ევაკუაცია ოსმალთა ჯარისა, დემობილიზაცია, ამნისტია, საზოგადოებათა და კერძო პირთა უფლება, დიპლომატიური ურთ-ერთობა, ფოსტა, ტელეგრაფი და რკინის გზები. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, მაჰმადიანთა საეკლესიო მამულების საკითხი დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს ბულგარელების მხრითო.

**ბელგრადი.** ალბანელები სამი დღის წინად თავს დაესხნენ სერბიელებს სერბის ახლოს. ალბანეთის საზღვარზე დიბრიდან დაწყებული ვიდრე დიაკოვიცამდე შეტაკებაა სერბიელებსა და ალბანელებს შორის. უკანასკნელთ სერბიის ტერიტორიის დაჭერა სურთ. პეშკოპოში პატარა რაზმი სერბიელების ჯარის კაცთა იბრძვის ოცი ათას კარგად შეიარაღებულ ალბანელებთან. ალბანელებს ხელმძღვანელობას უწევს ისსა-ბოლეტინაცი. სისხლის მღვრელ სასტიკ ბრძოლის შემდეგ ალბანელები დამარცხდნენ და მიატოვეს პეშკოპო, საზღვარზე მდგომ ჯარს მიაშველეს 8 ფეხოსანთა და 1 ცხენოსანთა რაზმი შვიდი სამთო ბატარეით. დღეს მეფის თავმჯდომარეობით მოხდება მინისტრთა საბჭოს კრება ალბანეთის საკითხის გამო.

მთავრობამ დაავალა თავის ელჩს ცეტინიეში, განაგრძოს მოლაპარაკება საზღვრების აღნიშვნის თაობაზე. დარწმუნებულნი არიან, ამ დღეებში დავა გადაწყდება.

**ბუქარესტი.** პოლიციამ აკრძალა სოციალისტების მიტინგი, რომელიც უცხოელ სახელმწიფო მიწების ანექსიის საწინააღმდეგოდ იყო განზრახული.

**სტამბოლი.** დასრულდა ერთობისა და პროგრესის კომიტეტის კრება. გუშინდელ კრებაზე ვიცე-პრეზიდენტმა გამოაცხადა კომიტეტის მოქმედების ანგარიში, გაჰკიცხა მუხთარფაშას მოქმედება - ომის წინ 120 ბატალიონის დათხოვნისთვის, რამაც გააძლიერა მოკავშირენი. დაიწუნა

დროებითი ზავი, ნაზიმ-ფაშას მიერ ჩამოგდებული, ბრალი ედება ქიამილ-ფაშის ლონდონის კონფერენციაზე მოქმედებისთვის, იანინისა, სკუტარისა და ადრიანოპოლის დათმობის თაობაზე, როდესაც ბრძოლა კიდევ დასრულებული არ იყო. მიუხედავად ჯარის სიმამაცისა, უხეირო წინამძღოლების წყალობით ჯარი უბედურებასა და შიმშილს განიცდიდა, რამაც გამოიწვია ხალხის აჯანყება და ქიამილის სამინისტროს გაძევებაო. მომხსენებელი მოუწოდებს ეხლანდელ მთავრობას სახელმწიფოს ინტერესები დაიცვას, ახლო მომავალში მოხდება სომხებისა და ოსმალების დაახლოვებაო. კომიტეტის მოქმედება ნაციონალურ მრეწველობისა და დაწყებითი სწავლა-განათლების გავრცელებისა და გაძლიერებისაკენ იქნება მიმართულიო.

**ლონდონი.** ღამით სუფრაჟისტმა ქალებმა ცეცხლი წაუკიდეს სიფორტში, ლივერპულის ახლოს, ახლად აშენებულს სულით ავადმყოფთა თავშესაფარს. ზარალი ოთხმოცი-ათასს მანეთს უდრის.

**მოგადორი.** სამხედრო მფრინავი ჩავარდა წყალში და დაიხრჩო. მგზავრი გადაარჩინეს.

**ტოკიო.** ოპოზიციონური გაზეთები სწერენ, რომ ინგლის-იაპონიის კავშირს ყოველივე აზრი დაეკარგა ინგლისისა და რუსეთის დაახლოვების გამოო. შორეულ აღმოსავლეთში ერთად-ერთი იაპონიაა, რუსეთის წინააღმდეგ რომ მოქმედებას. ინგლისი მხარს არ უჭერს იაპონიას ამერიკის საკითხში და ხელს უშლის ჩინეთში თავისუფლად მოქმედებასაო. იაპონიისთვის ბევრად სასარგებლოა, ინგლისის კავშირი გერმანიასთან და ავსტრო-ჰუნგრეთთან კავშირად შესცვალოს.

**ბუდაპესტი.** სლოვენელ მღვდელს ლილგეს ერთი წლით ციხე გადაუწყვიტეს და ათასი კრონით დააჯარიმეს მცხოვრებთა მადიარების წინააღმდეგ წასისინებისათვის.

**ცეტინიე.** მთავრობამ ხელი მოაწერა პარიზის ბანკ-დე-პეიბასთან და მილანის ბანკ-კომერციალესთან დადებულ ხელშეკრულებას ექვსი მილიონის ავანსად მიცემის თაობაზე იმ თანხიდან, რომელიც უზრუნველყოფილია დიდ სახელმწიფოების მიერ ჩერნოგორიის 30 მილიონიანი სესხი.

**ბელგრადი.** გუშინ სასტიკი ომი გაიმართა დიბრთან სერბიელ და ალბანელ ჯარისკაცთა შორის. ბრძოლამ შუადღის 2 საათამდე გასტანა. 600 ალბანელი უცხოელ ოფიცრების წინამძღოლობით შემოიჭრნენ დიბრში. დიბრისკენ გაიგზავნა მაშველი ჯარი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ალბანეთის საზღვარზე ეხლავე უნდა გაიგზავნოს სამი წყება მოთადარიგეთა რაზმისა. უკანასკნელ თავდასხმის დროს ალბანელებმა დასწვეს ყველა ქრისტიანთა სოფლები დიბრის ახლოს და ამოხოცეს მცხოვრებნი. დიბრის მცხოვრებმა თავი შეაფარეს კირევოში და ვოსტილარში. ალბანელები შეიარაღებულნი არიან მსწრაფლს სროლელი თოფებით, ზარბაზნებით და ცეცხლის მფრქვევლებით. სერბებს მოუკლეს 4 ოფიცერი და ბევრი ჯარისკაცი.

**ვენა.** „ვინერ-ალგემაინე-ცაიტუნგს" ატყობინებენ სკუტარიდან, რომ სერბიელებისა და ალბანელების შორის დიდი ბრძოლაა. მალისორებმა დაიჭირეს მთა ვუსინის სამხრეთათ, ჩერნოგორელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. გრუდისა, კასტრატის და შკრელის ტომებმა საერთო კრება გამართეს ჩერნოგორელების წინააღმდეგ მოქმედებისთვის მოსალაპარაკებლად.

**ჩუგუჩაკი.** ჩამოსულმა აგიტატორებმა მრავალ-რიცხოვანი კრებები გამართეს რესპუბლიკურ პარტიის საწინააღმდეგოდ და დაადგინეს ყველა გუბ.ნის მოხელეები და გუბერნატორი გაძევებულ იქმნეს. გუბერნატორი ხოცვა-ჟლეტის მოლოდინში აგროვებს ჯარს სიმაგრეში და აქედან ქალაქის დასაცავად რაზმებს გზავნის.

**ნიუორკი.** მექსიკიდან იტყობინებიან, აჯანყებულებმა ააფეთქეს მატარებელი სალტისის სამხრეთით. მოკლულია 40 ჯარის კაცი და 10 მგზავრი.

**თეირანი.** ბახტიართა ჲ ჟანდარმთა შეტაკების თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილია შეადგინონ ბახტიარებისაგან რეგულიარული ჯარი ადგილობრივ ოფიცრების ხელმძღვანელობით, იმ პირობით, რომ განსაკუთრებულ ქარვასლაში იცხოვრებენ. ბახტიარების იარაღი იმათ შეფებს ებარება პირიდი პასუხის მგებლობის ქვეშ. ჟანდარმთა ინსტრუქტორი პოლკოვნიკი იალმარსენი აღარ მოითხოვს ბახტიართა რიცხვის შემცირებას. რეგენტი მოწადინებულია უთანხმოება მოსპოს მინისტრებთა შორის და კაბინეთი შეავსოს, რომელშიაც სეპეხდარიც შევა. დემოკრატების აგიტაცია და მოსალოდნელი უმრავლესობა დემოკრატებისა მეჯლისში ძლიერ აფიქრებს მთავრობას. ჩრდილოეთი პროვინციები აცხადებენ, მეჯლისის არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, თუ დეპუტატებად დემოკრატები მოხვდნენო. თუ ეს ასე მოხდა, მეჯლისს ყოველივე ძალა ეკარგება, რაც ადერბეიჯანის ჩამოშორებას უდრის.

### რ უ ს ე თ ი.

**ვიბორგი.** საჩქარო მატარებლით პეტერბურგს გაგზავნეს გოფგერიჰტის წევრები სასჯელის მოსახდელად. ოლქის სასამართლოს მიერ მათ ციხე აქვთ გადაწყვეტილი გათანასწორების კანონის წინააღმდეგობისთვის.

**კიშინიოვი.** აკერმანის მაზრაში ხოლერისაგან გარდაიცვალა 2 კაცი. ხოლერისაგან კიდევ ავად გახდა ერთი.

**სკერნევიცი.** სამგზავრო მატარებელი დაეჯახა საბარგოს. ჩაიმსხვრა ორთქლმავალი და ხუთი ვაგონი, ერთი მოკვდა და ერთიც დაჭრილია.

**ვერნი.** ერთ ერთ სოფელში შავმა ქირმა იჩინა თავი, რამდენიმე კაცი გარდაიცვა.

**კიევი.** სასოფლო-სამეურნეო კრებამ საჭიროდ აღიარა მეურნე მუშათა დაზღვევის საქმე თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას მიენდოს. საზოგადოებამ უნდა შეიმუშაოს პროექტი მუშების სახელმწიფოდ დაზღვევის თაობაზე. ამასთან დადგინეს, თხოვნით მიმართონ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს, გაარკვიონ ეს საკითხი და მასალები და დასკვნა თავისუფალ საეკონომიო საზოგადოებას გაუგზავნონ.

კრებამ საჭიროდ სცნო, დაარსდეს ერობისა და ქალაქის საქმეთა ინსტიტუტი უმაღლესს სასწავლებლის პროგრამით. დადგენილ იქმნა, ერობათა ყურადღება მიექცეს სასოფლო გზების ვაკეთებას. რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების თაობაზე კრებამ აღიარა, დიდი გადასახადები პურზე საწინააღმდეგოა რუსეთის ინტერესებისთვის და ახალი ხელშეკრულების დადების დროს, რუსეთი უნდა ეცადოს თავის პოზიციის გამაგრებას, შეასუსტოს გერმანიის გავლენა და გააძლიეროს ექსპორტი უცხო სახელმწიფოებში. სასურველად იქმნა ცნობილი, გადასახადი შემცირდეს პურის ხორბალზე და ქვავზე. ხელშეკრულების გადათვალიერების დროს რუსეთმა უნდა იხელმძღვანელოს ერობების და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების სურვილებით. მთავრობამ, ერობებმა და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებმა ხელი-ხელ ჩაკიდულნი უნდა იმოქმედონ. მეურნეობის აღსადგენად მთავრობამ უნდა გაიხსნას უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი. ადგილობრივმა დაწესებულებებმა აგრონომიული დახმარება მცხოვრებთათვის უნდა მოაწყონ.

**რიგა.** სამღვდელოებამ შეიმუშავა პროგრამა 14 სექტემბრისთვის მილანის ედიკტის გამოცემიდან 1600 წლის შესრულების დღესასწაულის გამართვისა.

**კიევი.** სახელმწიფო ბანკში დაიჭირეს დამტარებელი, რომელმაც 16 ყალბი კუპონი წარადგინა. უცნობი, რომელმაც დამტარებელს კუპონი გადასცა, მიიმალა. გაიხსნა სრულიად რუსეთის ქალაქების წარმომადგენელთა კრება ქალაქების ფინანსების თაობაზე მოსალაპარაკებლად. ჩამოსულია 110 დელეგატი. კრებამ დეპეშა გაუგზავნა მეფეს, მინისტრებს, სათათბიროს და საბჭოს თავმჯდომარეთ, რათა მხარი დაუჭირონ კრებების დადგენილებებს.

**არხანგელსკი.** სოფელ სულანში დაიწვა ორი სახლი—მღვდლის ივანოვის და დიაკონ გურიევისა. ცეცხლში დაიწვა მღვდელი.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა ბრძანება გაძლიერებულ დაცვის წესების ვადის გაგრძელების თაობაზე: ტაშკენტსა და მისს მაზრებში, სირდარიის ოლქში, ვერნისა და პიშპეკის მაზრებში, სემი-რეჩენსკის, სამარყანდის, ფერგანის და ზაკასპიის მხრის ოლქებში და ყველა რუსთა სოფლებში ბუხარის სახანოში.

საფრანგეთის მთავრობამ სამხედრო წესები შემოიღო მაროკოში, რადგან მალულად იარაღების შემოტანას კვლავ განაგრძობენ.

**კიევი.** სასოფლო-სამეურნეო კრებამ აღნიშნა „სახუტორო" და ჩამოჭრილ მამულების დაქუცმაცება. ამის შესაჩერებლად საჭიროა ეკონომიური და იურიდიული ნორმები. საჭიროა გლეხთა მიწათ-მფლობელობის გადიდება კერძო მემამულეთაგან მიწის ჩამოჭრით და გლეხების სახელმწიფო მიწაზე დასახლებით. მიწათ მომქმედ უწყების მიერ განზრახული პროექტები ვერ შეაჩერებენ მიწის დაქუცმაცების პროცესს. აგრონომიული დახმარების მიზანი უნდა იყვეს, ყველა მცხოვრებთა ნაწილს დახმარება აღმოუჩინოს. კრება საჭიროდ სცნობს მიღებულ იქმნას ღონისძიებანი წვრილ მეურნეთა მიწათ-მფლობელობის და მიწით სარგებლობის საქმის გაფართოება მიზან შეწონილი სამიწათ-მომწყობი ღონისძიებით ფართე კრედიტის ორგანიზაციის საშუალებით. ყველა ღონისძიებათა შორის პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ამხანაგობათა ორგანიზაციების მოწყობამ მიწის კოლექტიურის გზით დასამუშავებლად.

## წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის „სახალხო გაზეთის" საშუალებით ნება გვიბოძოთ უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემორე მოხსენებულ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავისი წვლილი სოფ. ვანის უფასო სამკითხველოსათვის შენობის ასაგებად და მოსაწყობად, სახელდობრ: Марія Владимировна-მ, სერაფიონ ჯანიშვილმა და გიორგი კობალაძემ—სამ-სამი მანეთი, ლონგინოზ გოცირიძემ და ანდრო შაფათავამ—ორ-ორი მანეთი. კასინე კვაჭანტირაძემ, ფ. ვაჭეშვილმა, კოლია თათეიშვილმა, სოლომონ გაბუნიამ, გრიგოლ დოლიძემ, კალისტრატე ნაჭყებიამ, სერგო ვასაძემ, ი. დოლიძემ, ალექსანდრე საკანდელიძემ და თ. გიორგაძემ—თითო მანეთი. სულ 23 მანეთი. რომელიც მოხმარდა თავის დანიშნულებას.

გამგეობის წევრნი: ვასილი კ. მახარაძე, ხერაპიონ მახარაძე, მ. ხიზრუღიძე.

## შემოწირულება

ტფილისის სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულომ **ი. ევდოშვილის სამკურნალოდ** გადასცა 300 მან. ბ-ნმა მიტროფანე ლაღიძემ 10 მანეთი.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ სია გიორგი დავითაშვილის მიერ შეგროვილ ფულისა, ჩვენი საყვარელი მგოსნის ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ.

შემომწირველთა სია: ხუთ-ხუთი მანეთი: ძმანი მირიანაშვილები, ნიკო სესიევი; ტატო ოდიშვილი 2 მ.; თითო მანეთი: გ. დავიდოვი, ა. დავიდოვისა, ნ. ონანაშვილი სტუდენტი, ალექსი კობაიძე, გიორგი თანაშვილი, ლეონტი კასრაძე, ანდრია ქავთარაძე, ნესტორ მერკვილაძე, მიხეილ მამულოვი, იოსებ ისაკის ძე მენთეშაშვილი; ათ-ათი შაური: დ. კურცხალია, გიგო ბილანიშვილი, იოსებ გარსევანაშვილი, ილურიძე, ვლადიმერი ბორჩხაძე, კიკნაძე დ., ნიკო კუპროშვილი, გიორგი ობლიშვილი, ნესტორ მოწონელიძე, დათიკო ანდრიაძე, ხუროშვილი, ალექსანდრე ჯიგაშვილი, მინდიევი, ივანე ბერძნიშვილი, ქუბიაშვილი ესტატე; ხუთ ხუთი შაური: № 5, სტეფანე უსეინაშვილი. სულ 30 მან.

რედაქტორი ა. ჭუმბაძე
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი


## მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3. საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, საზ. დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, საგარეუბ. დილ. 8 ს. 16 წ., № 67, საგარ. ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე ბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4:3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** საზ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევნისკენ:** № 24:23, საბარგ.-სამგზ. საღ, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ, მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 პ. ფოთინა-თხილოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შენოლებაში და ვისაც-კი ამ მხრივ უწესობას შეხვდებიან—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, უვარგის საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
დ ი ლ ი თ:
### „606" და „914"
11—12 ს. შეხავუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ხ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. სიფილის და ქალების ავადმყ.

**ა. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**მ. გ. აველიხიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები თოთიგეთით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი
## სიმ. ა. ბრიაზნოვი
ამზადებს ყველა ენათა გიმნაზიისა, რეალური და კომერციული სასწავლებლისა ყველა კლასისათვის, სასწავლებელი იმსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, სააპტიაქო შეგირდობაზე და სხვა. იღებს სრულს ხარჯზე.

ადრესი: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. ს. სიხა ბ. 604.

## ფეხსაცმელები
## თომა დ ჯანჯღავაშვილის
### მაღაზია-სახელოსნოში,
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი ჲ პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 527

## ქალაქის საავადმყოფოები
**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება
**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23. |
| 10, 11—12 | **ი. გ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935). |

**გამოსულია და იყიდება**
## ი. გედევანიშვილის პიესა
## „გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**საბუჰგალტრო კურსები**
## გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

უფლებიანი **სავაჭრო სკოლა** უფლებიანი
**და საბუჰგალტრო კურსები**
## ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა,
ნახვა შეიძლება დღის 8—2 საათამდე, სკოლაში, თუმანოვის ქ. № 13, და საღამოს 5—8 საათ. კურსებზე მიხეილის პროსპ., № 53. 615

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის**
## „პატოკსან".
„პატოკსან" შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.

„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.

„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარეია შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.

„პატოკსან" ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„პატოკსან" ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.

„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მოსახმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ."** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. ტელეგრამა მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი". 1384.

—— გამოსულია და იყიდება ——
## ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა",
დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
**შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ბრძოლა, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო | 1 მ. |
| გიორგი ხანძთელის ცხოვრება, | 3— |
| გოგებაშვილის რჩეულ. ნაწერები, | 1— |
| გამბაშვილი ეკატ. თხზულებანი. | 1—20 „ |
| ეტიუდები მე-19-ე საუკ. ქართულ ლიტ. შესახებ, კ. აბაშიძისა, ტ. 1, | 70 „ |
| იგივე, ტ. 2-ე, | 70 „ |
| ექსპერიმენტალ. პედაგოგიკა, უზნაძე, | 75 „ |
| ვეფხის ტყაოსანი, წ.-კ საზ. გამ. | 60 „ |
| „ ქართველიშვილის გამ. 11—65 | „ |
| კახეთის ამბოხება, ა. ფრ. | 60 „ |
| მთიულეთი, | 40 „ |
| მეჯღანუაშვილი, | 50 „ |
| მაცი ხვიტია, | 50 „ |

| | |
|---|---|
| რჩეული ნაწ., გ. ერისთავისა | 60 |
| ქოლთ-ეთერი და სირინ., ევდ. | 10 |
| ქართვ. ერის ტრაგ. (გიორგი სააკაძე და მისი დრო), ქვარ. | 40 |
| ჩემი ნანინა, ახოსპირ. | 10 |
| **ახლად მიღებული წიგნები:** | |
| ჩემი ნაწერები, ტ. მე-2-ე, აკაკისა | 75 |
| კოოპერატივები იტალიაში, | 50 |
| წვრილი კრედიტის დაწესებულება, | 10 |
| О доисторическомъ языкѣ Закавказья, К. М. Т. | 65 |
| Обитель Св. Давида въ Грузіи, | 25 |
| Памяти ген. кн. Циціанова, | 25 |
| Изъ поѣздки въ Сванію, Б. Марри, | 30 |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

განათლებისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
## საკომერციო ცოდნათა კურსები
## ც. მ. ფილოსიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო ჲ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

## მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი

## მმ.



## ძმ. ბველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

**ახალ-ახალი**
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სკუმბრია
ახალი მახვილ-მარცვლოვანი
**ხიზილალა** კიტკა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიილები და სხვა ყოველნაირი თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა და
**კონსერვები.**